დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ: შპს „ვასაძის ჩაი“ ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნასაკირალში. მისი ფართობი შეადგენს 5 ჰა-ს, სადაც გაშენებულია მოცვის ბაღები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსებით. მოგეხსენებათ, მოცვს სჭირდება დიდი ოდენობით წყლალი და აქედან გამომდინარე, ჩვენს ტერიტორია აღჭურვილია თანამედროვე სარწყავი სისტემით. ჩვენი ტერიტორიის მიმდებარეთ ჩამოედინება ხევში წყალი, რომლისგანაც გვჭირდება, რომ განვახორციელოთ ზედაპირული მოპოვება, საიდანაც 15 m^2 ტერიტორიაზე მოვახდენთ მის დარეზერვებას, რომ მოხდეს სარწყავი სისტემის შევსება და მოცვის ნერგების მორწყვის უზრუნველყოფა. ამისასთვის თვის განმავლობაში გვჭირდება 725 m^3 წყლის მოპოვება უსახელო არხიდან.
2. პროექტის განხორციელების ადგილი: ქ. ოზურგეთი, სოფ. ნასაკირალი
3. მონაცემები პროექტის განხორციელების შესახებ მოცემულია ცხრილი N1-ში
4.

ობიექტის დასახელება	შპს ვასაძის ჩაი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთი, სოფ. ნასაკირალი
იურიდიული მისამართი	ოზურგეთი, სოფ ნატანები
საიდენტიფიკაციოკოდი	237094032
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X- 751797; Y- 4649732
ობიექტის ხელმძღვანელი:	მერაბი ვასაძე
გვარი, სახელი	მერაბი ვასაძე
ტელეფონი:	599 98 77 75
ელფოსტა:	Merabi.vasadze@yahoo.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	500მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სოფლის მეურნეობა

დაგეგმილი სამიანობა	სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველყოფა

4. წყალაღების კოორდინატები: X- 751797 Y- 4649732
5. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 0.5კმ
6. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარწყავი წყლის აღება ხდება ხევიდან, რომელიც ძირითადად საზრდოობს თოვლისა და წვიმის ნალექით.

მოცვის ბაღის მოსარწყავად გაკეთებულია წვეთოვანი მორწყვის ქსელი. სარწყავი სისტემა მომარაგდება, ჩვენს ტერიტორიაზე შეგუბებული წყლით, რომლის მოპოვებაც გვსურს ჩვენი ტერიტორიის მიმდებარეთ მომდინარე ხევიდან. აღნიშნული ნაკვეთიდან, ხევი, სადაც ჩამოედინება წყალი, დაშორებულია 5 მეტრით. მილსადენი ტრასის სიგრძე კი შეადგენს 5 მეტრს. არხიდან წყალი 100მმ. დიამეტრის მქონე მილით, ელექტრო ტუმბოს საშუალებით მიეწოდება შემკრებ რეზერუარს. შემკრები ავზიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით ხდება მცენარეთათვის წყლის მიწოდება. ხევიდან წყალაღება მოხდება მიწისზედა მცირე დიამეტრის (100) მქონე მილების საშუალებით. ნაკვეთამდე მილსადენით მიყვანილი წყალი განთავსება ჩვენსავე ტერიტორიაზე, სპეციალურად შექმნილ რეზერვუარში, რომლის მოცულობაც 60 კუბური მეტრია. აღნიშნული რეზერვუარიდან მოხდება წყლის მიწოდება წვეთოვანი სისტემისათვის.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ მოცვი საზრდოობს წყლის მეშვეობით და მნიშნველოვანი ფაქტორია მისი სწორი განვითარებისა და შესაბამისი შედეგის მისაღებად. ლურჯი მოცვის ფესვები არ არის ღრმა და მათთვის რეკომენდებულია ხშირი არაღრმა რწყვა; უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამატებითი რწყვის სათანადო მართვას. წვეთოვანი საირიგაციო სისტემის მილები საჭიროა მოეწყოს ნიადაგის კვალის ზემოდან, მულჩის ფირის დაგებამდე.

გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით არის შემდეგნაირი:

მაისი- 725 მ³
ივნისი- 725 მ³
ივლისი- 725 მ³

აგვისტო- 725 m^3
სექტემბერი- 725 m^3

7. გამოსაყენებელი წყლის მოცულობა - წელიწადში შეადგენს 3000 - 3200 კუბურ მეტრს.

8. ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე - ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან მილის განთავსება დაგეგმილია მიწის ზემოთ. გამომდინარე იქიდან, რომ სარწყავი მილი განთავსებულია მიწის ზემოთ, არ არ არის დაკავშირებული მიწის სამუშაოებთან, რის გამოც ზემოქმედება მიწის რესურსებზე(მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება) არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე დაცულ ტერიტორიაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე დაგეგმილი სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ წყალაღება მოხდება მიწის ზედა მცირე დიამეტრის მქონე მილების საშუალებით. რისთვისაც არანაირი საჭიროებაა იმისა, რომ მოხდეს მძიმე ტექნიკის ჩართვა აღნიშნულ საქმეში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფარის დაზიანება.

ნაკვეთი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 500 მეტრით.

საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება არავითარი გაფრქვევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

საქმიანობის შედეგად არ წარმოიქმნება არანაირი სახის ნარჩენი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება.

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალს და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

შპს ვასაძის ჩაის საქმიანობა დადებითად აისახება სოფლისა და რაიონის მოსახლეობაზე.

უკეთესი წარმოსახვისთვის გიგზავნით ჩვენი ტეროტირიის სატელიტურ სურათს.